Published by TSU Press | DOI: [https://doi.org/10.62119/sjn.27.2026.12237]
© Irma Ratiani, 2026 | ISSN 1512-2514 (print) | E-ISSN 2346-772X (online)
This is an open access article distributed under the terms of the Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International License (CC BY-NC 4.0).
https://creativecommons.org/licenses/by-nc/4.0/
Sjani 27 (2026), [pp. 134-154]
sjani.ge

დისიდენტური მწერლობა. მოდელი და წინააღმდეგობანი
Dissident Literature: Model and Contradictions

ირმა რატიანი
Irma Ratiani
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institute Of Georgian Literature
თბილისი, საქართველო
Georgia, Tbilisi

Received [1 May, 2026] | Accepted [1, July, 2026] | Published online [3 November]

Abstract

Dissident literature is a specific form of literary narrative that emerged in the 1960s and 1970s in the Soviet Union, as well as in the countries of the socialist bloc of Central and Eastern Europe. Driven by the ideological pressure in these countries – which limited not only creative freedom but also violated fundamental human freedoms such as freedom of speech, thought, and belief – writers assumed a number of social responsibilities alongside their creative ones, directly linked to the protection of international human rights standards. In this regard, a significant contribution was made by writers from the socialist bloc and Soviet countries, including Georgian dissident authors such as Merab Kostava, Zviad Gamsakhurdia, and Petre Gruzinsky.

Dissident literature is defined as a specific form of literary narrative that opposes dominant political, social, and cultural clichés, repressive regimes, and censorship

norms. It represents a non-violent model of resistance aimed at protecting human rights. Formed under conditions of political repression, dissident literature aims to confront the regime and construct alternative modes of thought using all available stylistic devices. Furthermore, facing persecution by state censorship, dissident literature was forced to disseminate through "underground" means.

The article examines the political and cultural precursors of dissident literature, such as the death of Joseph Stalin – a materialized symbol of the country – in 1953, the high-profile 20th Congress of the Communist Party, the speech by then-leader Nikita Khrushchev, as well as the "Thaw" era and its cultural trends: the liberalization of literary discourse, the emergence of Soviet neo-realism, and the intensification of existential discourse.

It is noted that the Thaw period was soon replaced by the "Period of Stagnation." From the 1970s onward, the Soviet regime's aggression toward any innovation intensified, becoming extremely artificial on the one hand and disrupting elementary norms of communication on the other. Consequently, the writer, as one of the most qualified consumers of information, suffered from an information deficit. Bound by political shackles, this epoch rightfully earned its status as an era of "stagnation" or immobility.

It was precisely during this era that dissident literature developed in full force. The article notes that although Georgian dissident literature was somewhat weaker in terms of artistic quality, it nonetheless maintained a significant influence on Georgian society (e.g., the poetry of Zviad Gamsakhurdia and Merab Kostava, and Petre Gruzinsky's *"Raised in Fear," "I Feel Sorry for My Castrated Generation..."*, among others).

The article introduces and defines terms such as *literature beyond bars*, *isolation*, *internal emigration*, *psychiatric discourse*, and *forced repentance*. Drawing from its own experience, dissident literature helped society overcome complex psychological and moral obstacles through its distinctive thematic freedom and radical socio-political narratives.

According to the author, dissident writers openly faced physical persecution, and their texts were subject to harsh censorship methods. Accordingly, the article introduces concepts such as *killer censorship* and *corrupted censorship*. Finally, it discusses the mechanisms for disseminating dissident texts, which strictly followed underground rules: ideas were heavily veiled using various stylistic techniques, while the texts themselves were circulated in manuscript form or through self-publishing (*Samizdat*).

Key words: dissident literature, precursors, formation, characteristics, contradictions

საკვანძო სიტყვები: დისიდენტური ლიტერატურა, წინამორბედები, ჩამოყალიბება, მახასიათებლები, წინააღმდეგობები

დისიდენტური მწერლობა ლიტერატურული ნარატივის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც გასული საუკუნის 60-70-ინ წლებში ჩაისახა საბჭოთა კავშირის, აგრეთვე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში. გამომდინარე ამ ქვეყნებში არსებული იდეოლოგიური წნეხიდან, რაც ზღუდავდა არა მარტო შემოქმედებით თავისუფლებას, არამედ არღვევდა ადამიანის თავისუფლების ფუნდამენტურ ნორმებს, როგორიცაა სიტყვისა და აზრის, აგრეთვე, რწმენის თავისუფლება, მწერლებმა, შემოქმედებით ვალდებულებებთან ერთად, რიგი სოციალური ვალდებულებებიც იკისრეს, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა ადამიანების უფლებების საერთაშორისო ნორმების დაცვას. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული კონტრიბუცია მიუძღვით: სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში – ვაცლავ ჰაველს, მილან კუნდერას, ვიტოლდ გომბროვიჩს, ჩესლავ მილოშს, მილოვან ჯილასს, რადოვან ზოგოვიჩს, გიორგი მარკოვს, პაულ გომას, და სხვ. საბჭოთა კავშირის ფარგლებში – ალექსანდრ სოლჟენიცინს, იული დანიელს, ანდრეი სინიავსკის, ვარლამ შალამოვს, ვლადიმირ ბუკოვსკის (რუსეთის ფედერაცია), ტომას ვანცლოვას, ბალის გაიჟაუსკასს, კნუტ სკუენიეკსს, მარტ ნიკლუსს, ენნ ტარტოს (ბლატიისპირა ქვეყნები), პეტრე გრუზინსკის, მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას, იგორ მურადიანს, ანარ რზაევს (კავკასიის რეგიონი), და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ დისიდენტური მწერლობის ფორმირება კომუნისტური იდეოლოგიის არსებობის გარკვეულ ეტაპს დაუკავშირდა (კერძოდ, ე.წ. „ცივი ომის“ პერიოდს), მისი შემოფარგვლა მხოლოდ სოციალისტური და საბჭოთა ბანაკის ქვეყნებით დღეს უკვე შეუძლებელია, ვინაიდან, დროთა განმავლობაში, მან თავი იჩინა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, სადაც კი მწერლობა გაბატონებულ იდეოლოგიას დაუპირისპირდა, და ნებისმიერ გეოგრაფიულ ლოკალში თავისი გადამწყვეტი როლი და ფუნქცია შეასრულა.

დისიდენტური მწერლობის კლასიკური განმარტება, შესაძლოა, ასე ჩამოყალიბდეს: დისიდენტური მწერლობა ლიტერატურული ნარატივის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც უპირისპირდება გაბატონებულ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ კლიშეებს, რეპრესიულ რეჟიმებსა და საცენზურო ნორმებს; ის წინააღმდეგობის არაძალადობრივი მოდელია, მიმართული ადამიანის უფლებების დაცვისაკენ. დისიდენტური მწერლობა პოლიტიკური რეპრესიების პირობებში ყალიბდება და მიზნად ისახავს რეჟიმთან დაპირისპირებას და ალტერნატიული სააზროვნო მოდელების ფორმირებას, ყველა შესაძლო სტილისტური ხერხის გამოყენებით. ასევე, განიცდის რა დევნას სახელმწიფო ცენზურის მხრიდან, დისიდენტური მწერლობა იძულებულია გავრცელდეს ე.წ. „იატაკქვეშა წესებით“, როგორიცაა – გავრცელება ხელნაწერის ან ე.წ. „Самиздат“ – ის, ანუ „თვითგამოცემის“ ფორმით.

დისიდენტურ მწერლობას, ცხადია, ჰქონდა თავისი წანამძღვრები საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, თუმცა, მისი ფორმირება დაუკავშირდა ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდს და ერთდროულად წარმოადგენდა მოჩვენებითი პოლიტიკური ლიბერალიზაციის, ე.წ. „დათბობის“ („ოტტეპელი“-ს) და მალევე გაბატონებული პოლიტიკური სტაგნაციის, ე.წ. „უძრაობის“ („ზასტოი“-ს) პერიოდების შედეგს.[1]

წანამძღვრები. ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკური ინიციატივა და ე.წ. „დათბობის ხანის“ მწერლობა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და, განსაკუთრებით, 1950-იანი წლების შუახანებიდან, საბჭოთა კავშირში პოლიტიკური ცვლილებების სიომ დაუბერა. მიყუჩდნენ ომის ქვემეხები და ლიტერატურასაც თითქოს ლეგიტიმურად მიეცა „გამარჯვებული ქვეყნის“ გმირობის, თავდადებისა და სამომავლო პერსპექტივების ასახვის მანდატი. თუმცაღა, როგორც კი მწერლები ისტორიული სინამდვილის ძიების და, მითუმეტეს, მიგნების, პრეტენზიას აცხადებდნენ, ისინი მაშინვე რეპრესიების ახალი ტალღის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ასე გადაუარა საქართველოს და ქართულ ლიტერატურულ წრეებს რეპრესიების კიდევ რამდნიმე ტალღამ ომის შემდგომ წლებში.

1953 წელს გარდაიცვალა ქვეყნის მატერიალიზებული სიმბოლო – იოსებ სტალინი, რასაც მალევე მოჰყვა კომუნისტური პარტიის გახმაურებული XX ყრილობა. კომპარტიის მაშინდელი ლიდერის, ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვაში (რომელიც სრულ სიჩუმეში იქნა მოსმენილი დამსწრეთა მიერ ისე, რომ ტაშის დაკვრაც კი ვერავინ გაბედა[2]), ნათქვამი იყო:

> „ამხანაგებო! ჩვენ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავუმკლავდეთ პიროვნების კულტს, გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები როგორც იდეურ-თეორიული, ისე – პრაქტიკული მუშაობის სფეროში.
>
> ამისათვის საჭიროა:
>
> პირველ ყოვლისა, ბოლშევიკური პოზიციიდან გავასამართლოთ და ამოვძირკვოთ მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სრულიად უცხო და

[1] წინამდებარე სტატია ფოკუსირებულია საბჭოთა კავშირის ქვეყნების დისიდენტური მწერლობის სპეციფიკაზე, თუმცა, თეორიულად ეხმიანება მწერლობის ამ მოდელში მიმდინარე ზოგად პროცესებს.

[2] ა. იაკოვლევის მოგონებიდან, http://histrf.ru/ru/lenta-vremeni/event/view/xx-siezd-kpss-doklad-khrushchieva-o-kul-tie-lichnosti-stalina

პარტიული ხელმძღვანელობისა და პარტიული ცხოვრების ნორმებთან შეუსაბამო პიროვნების კულტი. დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ რაიმე სახით მისი აღორძინების ყოველგვარ მცდელობას. აღვადგინოთ და ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში თანამიმდევრულად გავატაროთ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების უმნიშვნელოვანესი მოწოდებები ხალხზე, როგორც ისტორიის შემოქმედზე, კაცობრიობის ყველა სახის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის შემქმნელზე, და – მარქსისტული პარტიის გადამწყვეტ როლზე რევოლუციურ ბრძოლაში, რომელიც მიემართება საზოგადოების გარდაქმნასა და კომუნიზმის გამარჯვებას. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ დიდი სამუშაო უნდა ჩავატაროთ – მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციიდან, კრიტიკულად უნდა განვიხილოთ და გამოვასწოროთ პიროვნების კულტთან დაკავშირებული, საყოველთაოდ გავრცელებული მცდარი შეხედულებანი ისტორიული, ფილოსოფიური, ეკონომიკური და სხვა მეცნიერებების სფეროში, ასევე, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში. კერძოდ, საჭიროა, უახლოეს მომავალში ჩატარებულ იქნას მუშაობა, რათა შეიქმნას მეცნიერული ობიექტურობით შედგენილი ჩვენი პარტიის ისტორიის სახელმძღვანელო, ასევე, სახელმღვანელოები საბჭოთა საზოგადოების ისტორიაში, სამოქალაქო ომის ისტორიასა და დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

მეორე: თანამიმდევრულად და ბეჯითად გაგრძელდეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ბოლო წლებში ჩატარებული მუშაობა ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის დასაცავად უკლებლივ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში, ზემოდან ქვემოთ, და, უპირველეს ყოვლისა, განხორციელდეს მისი უმაღლესი პრინციპის – კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპის დაცვა, პარტიის წესდებით გათვალისწინებული პარტიული ცხოვრების წესის დაცვა, კრიტიკისა და თვითკრიტიკის აღორძინება.

მესამე: სრულად იქნას აღდგენილი საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ლენინური პრინციპები, გამოხატული საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, გამოეცხადოს ბრძოლა თვითნებობას, რაც გამოიხატება ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაში. აუცილებელია, რომ ბოლომდე აღმოიფხვრას დარღვევები, რომლებიც არსებობს რევოლუციური სოციალისტური სამართლიანობის მიმართულებით და რომლებიც საკმაოდ დაგროვდა ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში პიროვნების კულტის უარყოფითი გავლენის შედეგად“ (იხ. http://histrf.ru/ru/lenta-vremeni/event/view/xx-siezd-kpss-doklad-khrushchieva-o-kul-tie-lichnosti-stalina).

კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ საქართველოში სერიოზული პოლიტიკური არეულობა გამოიწვია: ხრუშჩოვის გამოსვლა სტალინის წინააღმდეგ ქართველებმა ქართველი ერის შეურაცხყოფად აღიქვეს, რასაც მოჰყვა დემონსტრაციები თბილისსა და სხვა ქალაქებში. დემონსტრანტების მოთხოვნები სულ უფრო და უფრო პოლიტიზირებული ხდებოდა. გაჟღერდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ლოზუნგიც. საბჭოთა მთავრობამ ძალის გამოყენება გადაწყვიტა: 1956 წლის 9 მარტის ღამეს საბჭოთა არმიის ნაწილებმა მომიტინგეების მიმართ არაადამიანური სისასტიკე გამოიჩინეს, ასობით ახალგაზრდა იქნა ფიზიკურად დასჯილი და ლიკვიდირებული (დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა დღემდე უცნობია). სწორედ იმ დღეებში პირველად გაიჟღერა რამდენიმე „საეჭვო პოლიტიკური შეხედულებების მქონე“ ახალგაზრდის, გაერთიანება „გორგასლიანის“ წევრების სახელმა: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვოვა სიხრულიძე, გურამ დოჩანაშვილი და სხვ. გაერთიანების წევრებს ბრალი დასდეს ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელებაში და ეტაპორივად დააპატიმრეს. მათ 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, თუმცაღა, „სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემამსუბუქებელი გარემოებანი“ და მსჯავრდებულებს პირობითი სასჯელი შეუფარდა.

ამ მოვლენების შემდეგ, მალევე, ხრუშჩოვის მიერ დაანონსებული რეფორმის კვლადაკვალ, საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, პოლიტიკური *დათბობის* ანუ *„ოტტეპელის“*[1] ხანა დაიწყო, ქვემეხების გრიალს დასავლეთიდან შემოჭრილი რიტმული ტვისტი და თავისუფალი განწყობილებები ჩაენაცვლა, რაც, ცხადია, საბჭოთა ქვყნების კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებაზეც აისახა. მოჩვენებითი ხასიათისა და ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, პოლიტიკურმა ლიბერალიზაციამ გარკვეული შედეგები მაინც მოიტანა: ერთი მხრივ, საბჭოთა იდეოლოგიის სამსახურში გაჭაღარავებულმა ავტორებმა იგრძნეს საკუთარი ტექსტების გადაფასების საჭიროება (რაც ცალკეულ შემთხვევებში ტრაგიკულ დასასრულემდეც კი მიდიოდა – ფსიქიკური დაავადება, თვითმკვლელობა და სხვ.), მეორე მხრივ კი, თითქმის ოცწლიანი ინტერვალის შემდეგ, დაუფარავად გაიზარდა დასავლური ლიტერატურული ტენდენციების ზეგავლენა.

საბჭოთა ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს, ლიტერატურულმა ცხოვრებამ თვისებრივად განსხვავებულ საფეხურზე გადაინაცვლა. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ინტელექტუალური ტერორით, რეპრესიებით, ბრძოლით, წინააღმდეგობებითა და შიშით აღსავსე მტკვინეული გამოცდილე-

[1] ილია ერენბურგის ტერმინი.

ბის ფონზე, საბჭოეთის „რკინის ფარდის“ ოდნავმა აწევამაც კი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ხელოვნურად კონსტრუირებული ქვეყნის კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებაზე[1]. თუ რკინის ფარდის მიღმა დანახულმა სამყარომ საბჭოთა ლიდერების სახლებში ამერიკული „მარლბოროებითა“ და სხვა „იმპორტული“ (საბჭოთა ტერმინია) საქონლით შეაღწია, ლიტერატურას დასავლური მიმდინარეობებისა და კონცეფციებისათვის „თვალის შევლების“ შესაძლებლობა მიეცა. ტვისტის რიტმზე გადაწყობილ ქვეყანაში დაუფარავად იზრდება ზეგავლენა დასავლური ლიტერატურული ტენდენციებისა, რომლებიც ჰემინგუეისეული თემებითა და თამამი ნეორეალისტური ექსპერიმენტებით იჭრება საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიებზე და თან მოიყოლებს რომანტიკულ ოცნებებს მეგობრობაზე, გულახდილობაზე, ურთიერთობების სიფაქიზეზე და ესოდენ ნანატრ თავისუფლებაზეც კი! შეიცვალა 1937, 1949, 1953 წლების რეპრესიებგამოვლილი მასების ფსიქოლოგიაც – მორჩილებით დახრილ თავებში სკეპტიციზმი გაბატონდა.

ნეორეალიზმის საბჭოური მოდელი განსხვავდებოდა დასავლური, კერძოდ, იტალიური და ევროპული ნეორეალიზმისგან, თუმცაღა, მის საინტერესო ვარიაციას წარმოადგენდა: როგორც ცნობილია, იტალიური და ევროპული ნეორეალიზმი, კინოსა და ლიტერატურაში, ასახავდა ჩვეულებრივი ადამიანის რთულ მდგომარეობას XX საუკუნის შუაწლების პოსტფაშისტურ ევროპულ საზოგადოებაში, როგორც პოლიტიკური, ისე – სოციალური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით; განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის ღირსეულ საქციელსა და სწორ ცხოვრებისეულ პრინციპებს, ამ ფონზე კი დიდი ყურადღება ეთმობოდა დეტალებსა და ნიუანსებს, რომლებიც აადვილებდა მოთხრობილი ამბის გაიგივებას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მძიმე ცხოვრებისეულ რეალიზმთან; გაბოროტებულ და გასასტიკებულ საზოგადოებაში მწერლებისათვის მნიშვნელობდა, ერთი შეხედვით, უბრალო ცხოვრებისეული ღირებულებები: ჰუმანიზმი, ზნეობრიობა, სიკეთე და ადამიანური ურთიერთობების გულწრფელობა, მიუხედავად იმისა, მდიდრები იყვნენ ეს ადამიანები თუ ღარიბები... საბჭოთა ნეორეალიზმი ევროპული ლიტერატურული მოდელის საინტერესო ნაირსახეობას წარმოადგენდა: საბჭოთა ხელისუფლება, განსხვავებით დამარცხებული ფაშიზმისაგან, მართალია სახეცვლილი, მაგრამ კვლავაც მტკიცედ განაგრძობდა არსებობას – ის კვლავაც რეალობა იყო და „ლენინური პრინციპების“ აღდგენასა და დაცვას სთავაზობდა საზოგადოებას, რითაც წინ ეღობებოდა ნეორეალიზმის ერთ-ერთი მთავარი

[1] თვითციტირება, წიგნიდან: რატიანი ი. *ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი.* თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.

პრინციპის – იდეოლოგიური ძალადობის, ეკონომიური სიდუხჭირისა და ზნეობრივი დამცირების წინაშე პიროვნების სამართლიანი ამბოხის რეალიზებას! მიუხედავად ამისა, საბჭოთა მწერლებმა, რომლებიც ნეორეალიზმის ლიტერატურულ მოდელში ინტუიტიურად ჭვრეტდნენ სამამულო ომის შემდგომი საბჭოთა და არასაბჭოთა ევროპული ქვეყნების ლიტერატურების კვლავ შეხვედრის პერსპექტივას, გადაწყვიტეს ესარგებლათ ხელისუფლების „მილულული თვალებით“ და ჩასჭიდებოდნენ ნაპირზე მომდგარ ნავს. გამოსავალიც მოიძებნა: **საბჭოთა ნეორეალიზმი იმთავითვე ჩამოშორდა პოლიტიკურ თემატიკას და იდეოლოგიისაგან დისტანცირებულ ფიქრიან ლიტერატურად ჩამოყალიბდა, რომელიც გაჯერებული იყო თავისუფლების უფრო მოლოდინითა და შეგრძნებით, ვიდრე მისი რეალური შედეგების ძიებითა და ანალიზით[1].** იდეოლოგიისაგან დისტანცირება მას არსებობის საშუალებას აძლევდა, ხოლო იდეოლოგიური მანქანის ძრავის შეცვლა – ადამიანურ პრობლემებზე ორიენტირებისა და ღრმა, ხშირად მოუშუშებელ რეალურ ჭრილობებზე რეაგირების შესაძლებლობას. შედეგად, რიგი ავტორების შემოქმედებითმა ტალანტმა, მეტაფორულმა აზროვნებამ და გამოსახვის სიღრმემ, ხშირად ალეგორიულმაც, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაყოფი გამოიღო: **მწერლობის ეს ფრთა (გურამ რჩეულიშვილი, არჩილ სულაკაური, ერლომ ახვლედიანი, ნოდარ დუმბაძე (ადრეული)), ემიჯნება „Homo Sovieticus“-ის კულტურულ-სტილისტურ მოდელს და მიემართება კონცეპტუალური, ემოციური და რეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ.** ხედვის რეალისტური მანერისა და თხრობის ლაკონური სტილის მეშვეობით, მათ შემოქმედებაში იკვეთება ომის-შემდგომი ქალაქები და ადამიანები, რომლებიც გრძნობენ სევდას, ტკივილს, უმკლავდებიან მოძველებულ სტერეოტიპებს, ყოველდღიურობის ერთფეროვნებას და წვრილ-წვრილ პრობლემებს, იცავენ მაღალ ზნეობრივ პრინციპებსა

[1] ამის ერთ-ერთ დადასტურებას ისიც წარმოადგენს, რომ 1956 წლის 9 მარტის საქართველოს მოვლენებმა პრაქტიკულად არ ჰპოვა ადეკვატური ასახვა ქართულ ლიტერატურაში და მხოლოდ ყრუ თემის სახით გაიელვა რამდენიმე ტექსტში. ბელა წიფურია მიუთითებს: „9 მარტი, ისევე როგორც საქართველოს გასაბჭოებით დაწყებული მთელი ციკლი, სწორედ ისეთი ტრავმებია, რომელთა ვერბალიზაცია, შეფასება, გააზრება თანადროულ ქართულ კოლექტიურ სივრცეში არ მომხდარა, რამდენადაც ამას არ დაუშვებდა სწორედ ის საბჭოური რეჟიმი, რომელიც ამგვარი ძალმომრეობის ფასად ამყარებდა და განამტკიცებდა თავის ძალაუფლებას... 1990-იან წლებში მოიძებნა (ნონა კუპრეიშვილის მიერ – ი.რ.) სიმონ ჩიქოვანის ლექსი *9 მარტი*, რომელიც, როგორც ტექსტი გვიჩვენებს, უშუალოდ სინქრონულ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი. ლექსში გამოხატულია მძაფრი ტკივილი და ბრალეულობის განცდა ახალგაზრდების („ბავშვების“) სიკვდილის გამო, და ასევე – ამ განცდის ჩახშულობის, გაუმხელელად ტარების გამო“ (წიფურია, 2016, გვ.189 -190)

და მოქალაქეობრივ ღირებულებებსა და, ამავე დროს, ისინი სავსენი არიან შინაგანი თავისუფლებით, სიყვარულით, მონატრებით, ერთმანეთის მხარში დგომის დაუოკებელი სურვილით; ჯერ კიდევ საბჭოთა მენტალობის მატარებელ ქართველ მკითხველს, მწერლები თამამად შეუძღვებიან წარმოსახვის უჩვეულო და სიღრმისეული შრეებისაკენ.

აღნიშნული პროცესის გაგრძელებად იქცევა ანა კალანდაძისა და რიგი ახალგაზრდა ქართველი პოეტების შემოქმედებაც. **ანა კალანდაძის პოეზია ერთ-ერთი უადრესი გამოვლინებაა პოეტური დისკურსის ლიბერალიზაციისა საბჭოთა პოლიტიკური ზეგავლენისგან.** ღრმა, ემოციური, ფიქრიანი, გამოხატვის მინიმალისტურ მანერაზე დაფუძნებული ლექსის მეშვეობით კალანდაძის შემოქმედება ორგანულ თავსებადობას ამჟღავნებს თავის თანამედროვე დასავლელი ქალი-პოეტების შემოქმედებით ხედვებთან, თუმცა, ანა კალანდაძის პოეზიაში ქალური ხედვა ელეგანტურად იკვეთება ნაციონალური ცნობიერების ტრადიციულ ქართულ მოდელთან, ისტორიული, მითოლოგიური და კულტურული არქეტიპების სისტემასთან, რაც წინ წამოსწევს აქამდე აკრძალულ ეროვნული იდენტობისა და მეხსიერების თემებს. 1950-60-იანი წლების მიჯნაზე და შემდგომ, 1960-70-იან წლებში, თანამედროვე ქართული პოეზიის ისტორიას, **ლიბერალიზებული პოეტური დისკურსის** სახით, ანა კალანდაძესთან ერთად ქმნიან: შოთა ჩანტლაძე, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, გივი გეგეჭკორი, შოთა ნიშნიანიძე, არჩილ სულაკაური, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახაძე და სხვ. **მათ პოეტურ ტექსტებში ცხადად შეიგრძნობა ზეგავლენა დასავლური ლიტერატურული მოდისა, მოჭარბება თავისუფალი პოეტური სტილისა, გულწრფელი ლირიზმისა და მკითხველთან კომუნიკაციის უშუალო, ხანდახან – ფამილარულისაც კი, მოდელებისა. თუმცა, ამავდროს, წინა პლანზე იწევს ქართული კლასიკური ლექსის მახასიათებლები და ტრადიციული პოეტური სულისკვეთება: გააქტიურებულია პატრიოტული და *ანტიიდეოლოგიური* თემატიკაც კი!** ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მუხრან მაჭავარიანის „1832 წლის შეთქმულების ციკლი“, სადაც საცნაურია ეროვნული ღირებულებების ხაზგასმა:

„ქართული მარტო ენაა?!– /ქართული ქართველთ რწმენაა!/ღმერთია!/ბედისწერაა!“. მუხრან მაჭავარიანის ეს ფრაზა ცხადჰყოფს, რომ ფიქრი ნაციონალურ იდენტობაზე, ნაციონალურ ღირებულებებსა და ღირსებაზე არსად გამქრალა; რომ ის ისევ ცოცხლობს „საბჭოთა საქართველოში“.

თუმცა, დისკურსის ეს შედარებით თავისუფალი, პროდასავლური მოდელი, ერთნაირად დამკვიდრებული ქართულ პოეზიასა და პროზაში, არცთუ ხანგრძლივი პოლიტიკური „დათბობის“ შედეგი აღმოჩნდება: **1960-იანი წლე-**

ბის შუახანებიდანვე, როგორც კი ყინულის დნობა საშიშ სახეს მიიღებს, საბჭოთა ლიდერებს კვლავ გაუაქტიურდებათ უცხო ხილის აკრძალვის ინსტინქტი – მძაფრდება საბჭოთა ხელისუფლების აგრესია ყოველგვარი სიახლისადმი, რაც, ერთი მხრივ, იძენს უკიდურესად ხელოვნურ ხასიათს, ხოლო, მეორე მხრივ, არღვევს კომუნიკაციის ელემენტარულ ნორმებს; შედეგად, მწერალი, როგორც ინფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიცირებული მომხმარებელი, განიცდის ინფორმაციულ დეფიციტს. პოლიტიკური მარწუხებით შებოჭილმა ამ ეპოქამ სამართლიანად შეიძინა *„უძრაობის“* ანუ *სტაგნაციის ხანის* სტატუსი.

ფორმირება. სტაგნაციის ეპოქა და *ლიტერატურა გისოსებს მიღმა*

1960-იანი წლების უკვე შაუხანებიდან საბჭოთა ხელისუფლება კულტურისა და მწერლობის „მოთვინიერების“[1] ადრინდელ გეგმას დაუბრუნდა და – წარმატებითაც; ის ახალ-ახალ ხერხებსა და მეთოდებს ნერგავდა: მაგალითად, ცალკეულ მწერლებს, ისევე როგორც კულტურის სხვა სფეროს პროგრესულ მოღვაწეებს, „თავაზიანად“ სთავაზობდნენ ქვეყნის დატოვებას, ზოგიც „ნებაყოფლობით“ ირჩევდა ემიგრაციის გზას; ასევე, დიდად გავრცელდა მწერლებისა და სხვა „ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე“ საზოგადო მოღვაწეების ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გამოკეტვის ტენდენცია და მათი შემლილებად გამოცხადება; არც დაწესებულებების საერთო კრებებს და ე.წ. „სახალხო სასამართლოებს“ ივიწყებდნენ, რომელთაც საჯაროდ უნდა წარმოეჩინათ „მავნე ელემენტების“ ძირგამომთხრელი საქმიანობა, რაც, არცთუიშვიათად, „განრისხებული და შეურაცხყოფილი საბჭოთა მოსახლეობის დამშვიდების მიზნით, ადამიანის დასჯით მთავრდებოდა ...

საშიში ცლვილებების „დაანონსება“ 1964 წლის 8 მარტს მოხდა, იმავე ნიკიტა ხრუშჩოვის საჯარო გამოსვლაში. ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ის მიესალმება იმგვარი მხატვრული ნაწარმოებების შექმნას, რომლებიც რეალისტურად წარმოაჩენს „პიროვნების კულტის“ პერიოდის, ანუ სტალინის პერიოდის ყოფას, და იქვე შენიშნა: *„ხელოვნება იდეოლოგიის სფეროს განეკუთვნება. ხალხი და პარტია არ მოითმენს მათ, ვინც მხარს უჭერს იდეოლოგიების მშვიდობიან თანაარსებობას. მათ კი ვინც „დაბნეულია“, მოვუწოდებთ, რომ დაფიქრდნენ, გაერკვიონ საკუთარ შეცდომებში, დაადგინონ ამ შეცდომების ხასიათი და წარმომავლობა, და გადალახონ*

[1] აკაკი ბაქრაძის ტერმინი.

ისინი“ (Бомейко, https://pskovlib.ru/obzori/bibliografy-o-knigakh/12740-poety-dissidenty-i-pisateli-buntari-dissidentskaya-proza-solzhenitsyna).

კულტურისა და მწერლობის თვალწინ ხმაურით ჩამოეშვა რკინის გისოსები. და თუკი ამ პერიოდის საბჭოთა ლიტერატურის და, მათ შორის ქართული მწერლობის, ალტერნატიული ფრთა რაღაც სასწაულებრივად აღარ იზიარებდა 1920-30-ინი წლების მოდერნისტთა განწირული თაობის ტრაგიკულ ბედს, ეს, ერთი მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებაზე დასავლეთის გაძლიერებული ზეწოლის შედეგი იყო, ხოლო, მეორე მხრივ – 1930-იან წლებში მწერლობის მიერ შეძენილი გამოცდილებისა: ვიჩქაროთ ნელა! მწერლობა კვლავაც მოთმინებით შეუდგა რეპრეზენტაციის ალტერნატიული გზების ძიებას.

შექმნილ ვითარებაში, ქართულ ლიტერატურულ სივრცეში გამოკვეთილი დისკურსის სხვადასხვა მოდელების ფონზე, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს **ექსისტენციალური პროზა/ *სუბიექტივისტური დისკურსი, როგორც ანტისაბჭოთა ნარატივის შენიღბული მოდელი.*** ეს გახლდათ სიღრმისეული დისკურსი, ინოვაციური ნარატივი, წარმოდგენილი ე.წ. „სხვაგვარად მოაზროვნე“ მწერალთა შთამბეჭდავი ჯგუფით – ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჩხეიძე, გურამ დოჩანაშვილი, გურამ გეგეშიძე, ჯემალ ქარჩხაძე[1]. ამ მწერლებს არ ვაკუთვნებთ დისიდენტ მწერალთა რიგს, თუმცაღა, მიგვაჩნია, რომ მათი შემოქმედება ემიჯნება საბჭოთა ნარატივს და ეფუძნება აზრის შენიღბვის ანუ „ირიბად ნასროლი“ ქვების ნაცად პოლიტიკას, როდესაც მწერლები იშველიებენ სხვადასხვა სტილისტურ ხერხებსა და დისკურსულ მოდელებს – ალეგორიას, მეტაფორას, სატირას, ირონიას, იუმორს, ალუზიას, მითს, აბსურდს – რათა გაარღვიონ სახელმწიფო გამომცემლობების წინააღმდეგობა და ლეგალური გზით მიაღწიონ *მკითხველამდე*[2]. *„შესაძლოა ცინიკურადაც კი ჟღერდეს,* – შენიშნავს მარიან დოვიჩი, – *მაგრამ ცხადია, რომ ლიტერატურამ, გარკვეული თვალსაზრისით, სარგებელიც კი ნახა ცენზურისაგან, რომელმაც არა მხოლოდ გაამძაფრა მისი სოციო-კრიტიკული სმენა, არამედ გააფართოვა მისი უნარი, გამოეხატა მასშტაბური ექსისტენციალური დილემები“* (Dovic, 2008, p. 173). **აღნიშნული მწერლების შემოქმედებაში, იდეოლოგიური წნეხის გაძლიერების მიუხედავად, დასუსტებასა და გაუჩინარებას იწყებს 1930-იან წლებში ხელოვნურად შექმნილი ლიტერატურული მომდინარეობის – სოცი-**

[1] ექსისტენციალიზმისათვის ნიშანდობლივი თემები უკვე ქართული მოდერნიზმის წიაღში შეინიშნება, მაგრამ ის ისეთივე „შეწყვეტილი პროექტი“ (ბელა წიფურიას ტერმინი) აღმოჩნდება, როგორც თავად მოდერნიზმი.

[2] აზრის შენიღბვის ანუ „ირიბად ნასროლი ქვების“ სტრატეგია ჯერ კიდევ 1920-30იან წლებში შეიმუშავა საბჭოთა დიქტატურის იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფმა ქართულმა (და – არა მარტო ქართულმა) მწერლობამ.

ალისტური რეალიზმისათვის ნიშანდობლივი კონცეპტუალური და სტილისტური მახასიათებლები და წინა პლანზე იწევს მათივე თანამედროვე მსოფლიო და ევროპული მწერლობისათვის აქტუალური თემები: სულიერი ღირებულებების დევალვაცია; ფუჭი მიზნებითა და იდეებით ნაკვები საზოგადოების ზნეობრივი კრიზისი; ინტელექტის მწვავე დეფიციტი; მარტოობა, გაუცხოება და საკუთარი თავის ძიება. ეს მსოფლიო თემები სიღრმისეულად იკვეთება, ერთი მხრივ, აზროვნების ანტისაბჭოთა მოდელთან, ხოლო, მეორე მხრივ, ლოკალურ პრობლემებთან და თემებთან, როგორიცაა: „უძრაობა“, სწრაფვა თვითრეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ, იდეოლოგიური კლიშეებისაგან თავდაცვის ინტელექტუალური მექანიზმების ძიება, *ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისა და ნაციონალური იდენტობისათვის* (ამ უკანასკნელს არც არასდროს დაუტოვებია ქართული მწერლობა). ასეთი მასშტაბური შედეგები მიიღწევა მრავალფეროვანი თხრობის მანერისა და ჟანრული სისტემის, აგრეთვე, მხატვრული აზროვნების სიღრმის შედეგად. თხრობის ამპლიტუდა მერყეობს რეალისტურ დისკურსს, მითოლოგიურ დისკურსს, დრამატულ ნარატივს, გროტესკსა და, ხშირად, აბსურდს შორის; სახეზეა არა მარტო ჟანრების, არამედ მხატვრული მეთოდების დიდი მრავალფეროვნება: ერთმანეთს ენაცვლება მაგიური რეალიზმის, ფსიქოლოგიური რეალიზმის, ინტელექტუალური რეალიზმის, ფანტასტიკური იმაგოლოგიის ელემენტები; მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში შემუშავებული ეს ლიტერატურული სკოლები მაშველი რგოლების ფუნქციას ასრულებს დასახელებული ეპოქის ქართული პროზისთვის.

ამ დისკურსის რადიკალურ გამძაფრებას წარმოადგენს ***დისიდენტური დისკურსი,*** რომელსაც მწერლობის „დაუმორჩილებელი“ ფრთა ქმნის საბჭოეთის ტერიტორიაზე და, მათ შორის, საქართველოშიც[1]. **მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულობის ხარისხის თვალსაზრისით ქართული დისიდენტური მწერლობა რამდენადმე მოისუსტებდა[2], ის მაინც ინარჩუნებდა მნიშვნელოვან ზეგავლენას ქართულ საზოგადოებაზე (პეტრე გრუზინსკის, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას პოეზია, – „შიშში აღზრდილი“, *მე მეცოდება კასტრირებული ჩემი თაობა...* და სხვ.).** ამ ზეგავლენის მიზეზად, პირველ ყოვლისა, დისიდენტური მწერლობისათვის ხელსაყრელი რამდენიმე ზოგადი ასპექტი უნდა დავასახელოთ: ა) ***იზოლაცია:*** სტაგნაციის ეპოქის კლაუსტროფობიურად ჩაკეტილი გარემოში ადამიანები, იძულების წესით, იზოლირებულნი

[1] „დისიდენტი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს – „ის ვინც არ ეთანხმება“. ამ შემთხვევაში, არ ეთანხმება ოფიციალურ პოზიციას.

[2] ვაზუსტებთ: არა დისიდენტური მოძრაობა, არამედ – დისიდენტური მწერლობა.

იყვნენ ერთმანეთისგან და მცირედი ასპარეზი თუ რჩებოდათ თავისუფალი აზრისა და შეხედულებების გამოსახატად[1]. შესაბამისად, *კითხვის პროცესი* ერთგვარ თავშესაფრად იქცა, სადაც შესაძლებელი იყო კომუნიკაცია „სხვასთან“ (ამ შემთხვევაში – ავტორთან) და გარკვეულ კითხვებზე პასუხების პოვნა; ბ) ***„შინაგანი ემიგრაცია“:*** ადამიანები არა მარტო იზოლაციაში მოექცნენ, არამედ ჩაიკეტნენ საკუთარ თავშიც; „შინაგანი ემიგრაცია“ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ მოდელად იქცა, აბსტრაქტულ ზონად, ინდივიდის „დაყუდების“ განფენილობად, რაც გარკვეული ზნეობრივი ღირებულებების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლეოდა[2].

სწორედ ამ ურთულესი ფსიქოლოგიური და მორალური წინააღმდეგობების დაძლევაში ეხმარებოდა საზოგადოებას დისიდენტური მწერლობა, გამორჩეული თემატური შეუზღუდველობითა და რადიკალური სოციალ-პოლიტიკური ნარატივებით. თუმცა, განსხვავებით ზ.დ. ექსისტენციალური დისკურსისაგან, რომელიც სირთულეების დაძლევის გზით, მაგრამ მაინც აღწევდა ოფიციალურ გამომცემლობებამდე და მკითხველამდეც, დისიდენტური მწერლობა მოკლებული იყო ამგვარ „ფუფუნებას“: დისიდენტი ავტორები ღიად განიცდიდნენ ფიზიკურ დევნას, ხოლო მათი ტექსტების გავრცელების მექნიზმი უცვლელად ექვემდებარებოდა *იატაკქვეშეთის წესებს* – აზრი მაქსიმალურად ინიღბებოდა სხვადასხვა სტილისტური ხერხების მეშვეობით, ხოლო თავად ტექსტები ხელნაწერის სახით ან თვითგამოცემის, ***ე.წ. самиздат***-ის გზით ვრცელდებოდა[3].

---

[1] ჩურჩულით ნათქვამი ანაც ხმადაბალი საუბრები ოჯახურ სამზარეულოებში მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენდა.

[2] განმარტავს რა „შინაგანი ემიგრაციის“ ცნებას, სტატიაში „შინაგანი ემიგრაცია ტერენტი გრანელის ცხოვრებასა და პოეზიაში“, ვ. ნიკიტინი მიუთითებს: „შინაგანი ემიგრაცია“ როგორც სოციო-კულტურული ფენომენი, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, შეიძლება განვიხილოთ როგორც ოქსიმერონი, ანუ *შეურწყმელის* შერწყმა, პარადოქსის ან სულაც – პარალოგიზმის სტილისტური პარადოქსი. ვინაიდან „შინაგანი ემიგრაცია“ აზრობრივად ეწინააღმდეგება რეალურ ემიგრაციას, და იმყოფება მასთან რეალურ ოპოზიციაში“ (Никитин, 2013, გვ. 184). მკვლევრის მართებული შენიშვნით, „შინაგანი ემიგრაცია“, როგორც პოლიტიკური იარლიყი, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა და გამოხატავდა საბჭოთა ხელისუფლებასთან იდეოლოგიურად დაპირისპირებული შემოქმედებითი ინტელიგენციის შინაგან მდგომარეობას. ვეყრდნობით რა ვ. ნიკიტინისეულ ინტერპეტაციას, მივიჩნევთ, რომ იგივე ტერმინი ზედმიწევნით ასახავს 1970-80-იანი წლებში, საბჭოთა კავშირში მცხოვრები არაერთი მოქალაქის სულიერ მდგომარეობასაც, რომლებიც, შესაძლოა, ვერ აღწევდნენ დისიდენტობის სიღრმეებს, მაგრამ, მსგავსად ტერენტი გრანელისა, შეურიგებლად ემიჯნებოდნენ არსებულ რეჟიმს.

[3] აღნიშნული ეპოქის ლიტერატურული სივრცის მესამე, ასეთივე ანგარიშგასაწევ „მოთამაშედ“ და საშიშ ოპონენტად გვევლინება ***მოდერნიზებული საბჭოთა დისკურსი,***

შურისძიების მექანიზმები. დევნა, ცენზურა, თვითგამოცემა *(Самиздат)* – როგორც გამოსავალი

წიგნში *„სიგიჟის მდგომარეობა: ფსიქიატრია, ლიტერატურა და დისიდენტობა სტალინის შემდგომ“* (https://www.cam.ac.uk/stories/state-of-madness), რებეკა რეიქი მიუთითებს: „**1960-იანი წლების ბოლოს, საიდუმლო პამფლეტებისა და უცხოური გაზეთების მეშვეობით, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ საბჭოთა კავშირის ნონკომფორმისტ მოქალაქეებს შიზოფრენიის დიაგნოზს უსვამდნენ და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გადაჰყავდათ“.** ექიმი-ფსიაქიატრები, ასრულებდნენ რა სახელმწიფო დაკვეთას, ყალბ დაიგნოზებს სვამდნენ, რითაც აამებდნენ ხელისუფლებას, ხოლო მათ წინააღმდეგ ამბოხებული ადამიანებისათვის პრაქტიკულად სამუდამო განაჩენი გამოჰქონდათ. ე.წ. „სამედიცინო მეთოდი“ სულაც არ იყო ახალი „ხერხი“ „სხვაგვარად მოაზროვნე“ ადამიანების წინააღმდეგ, მაგრამ, 1960-იან წლებში ის თვისებრივად ეწინააღმდეგებოდა მანამდე გამოცხადებულ ხრუშჩოვისეულ „ლიბერალიზაციასა“ და „სახელისუფლებო მმართველობის რეფორმას“. შიზოფრენია ამ პერიოდის წამყვან დიაგნოზად ჩამოყალიბდა და ფსიქიატრიული საავადმყოფოებიც გადაივსო „შიზოფრენიით დაავადებული“ თვალსაჩინო მწერლებითა და საზოგადო მოღვაწეებით. საგულისხმოა, რომ შიზოფრენიის დიაგნოზმა ლოგიკურად გადაინაცვლა დისიდენტი ავტორების ტექსტებში: **ფსიქიატირული დისკურსი, რომელიც დისიდენტი ავტორების ტექსტებში იკითხება, შიზოფრენიის დიაგნოზის ირონიულ-სარკისმიერ ანარეკლს წარმოადგენს, ვინაიდან სახელმწიფო სტრუქტურის მთავარი მეტაფორა ფსიქიატრიული დაწესებულება ანაც პარანორმალური მოვლენებით დატვირთული ცი-**

ტრანსფორმირებული ვერსია ტრადიციული საბჭოთა დისკურსისა. გარესამყაროდან გაძლიერებული პოლიტიკური თუ კულტურული ზეწოლის ფონზე, აგრეთვე, სახეცვლილი შიდაიდეოლოგიური მართვის პირობებში, საბჭოთა დიუსკურსმა იცვალა სახე და მოდერნიზებული ფორმა შეიძინა – მომრავლდნენ წინდახედული აპოლოგეტები, რომლებიც, ერთი მხრივ, „თანაუგრძნობდნენ“ და ყოველმხრივ „ეხმარებოდნენ“ შედარებით თამამ და ამის გამო მარგინალიზებულ კოლეგებს, ხოლო, მეორე მხრივ, სიამოვნებით იღებდნენ ხელისუფლებისაგან ჯილდოდ თანამდებობებს, პრემიებს, ბინებს, აგარაკებს, მანქანებს... **მოდერნიზებული საბჭოთა დისკურსი განსხვავებული მიზანდასახულობისა და ფუნქციის კონცეპტუალურ მოდელებში რეალიზდა: ა) ე.წ. *ადაპტირებული დისკურსი,* კონფორმისტული ნარატივი, როგორც ანტისაბჭოთა და საბჭოთა დისკურსების ინტელექტუალური მორიგების მცდელობა; ბ) *ნეიტრალური დისკურსი (ჩაურევლები).*** თუმცაღა, იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც „ჩათრევას ჩაყოლა“ ამჯობინეს და შეეცადნენ, საკუთარი მხატვრული ოსტატობის წყალობით, დაეცვათ **ე.წ. „კომუნისტური ეთიკა“.**

ხეა. ფსიქიატირული დისკურსი არა მხოლოდ თვითდამკვიდრების, არმედ – ხელისუფლებასთან წინააღმდეგობის ფორმასაც წარმოადგენდა.

კიდევ ერთი საიმედო ბერკეტი ხელისუფლების ხელში ***ე.წ. „მონანიება“*** იყო, „ბოდიშის მოხდა“, „შეცდომების აღიარება“ საჯაროდ, ისე, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს საკუთარი თვალით დაენახათ დამფრთხალი და „კუთხეში მიმწყვდეული“ დისიდენტები. საგულისხმოა, რომ **ე.წ. „მონანიების“ ტექსტები საეჭვო ერთნაირობით გამოირჩეოდა: მათი ავტორები არ საუბრობდნენ დეტალებზე, არამედ, იფარგლებოდნენ ზოგადი ხასიათის განცხადებით თავიანთ „პოლიტიკურ სიბეცეზე“, „ძირგამომთხრელ საქმიანობასა“ და „ცხოვრების არასწორ წესზე“; ეს შაბლონური ტექსტები სავსებით აკმაყოფილებდა ხელისუფლებას, ვინაიდან ნაკლებ თავსატეხს უჩენდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.** თუმცაღა, მონეტას ორივე მხარე ყალბი ჰქონდა: დისიდენტების მხრიდანაც ეს აქტი მონანიების გათამაშება უფრო იყო, ვიდრე – „დაშვებული შეცდომების“ გულწრფელი აღიარება; არა *ბოდიში*, არამედ – *კომპრომისი* დროის მოგებისა და სამომავლო აქტივობის „გადარესტარტების“ მიზნით. სტრატეგიები ორმხრივად დახვეწილად გამოიყურებოდა 1930-იანი წლების ვანდალური რეპრესიების ფონზე.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობამ და კულტურის მეცნიერებებმა საკმაოდ დიდი დრო მოანდომა საზღვრების დემარკაციას დისიდენტების პოლიტიკურ პოზიციასა და შემოქმედებით საქმიანობას შორის. რამდენად ეფექტიანი იყო დისიდენტების პოლიტიკური, ეკონომიკური და შემოქმედებითი პროექტები? რა შინაგანი კავშირები შეიძლება დაიძებნოს მათ შორის?

მსოფლიო პოლიტიკურმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ საბჭოთა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების დისიდენტი ავტორების პოლიტიკურ-ეკონომიკური პროექტები უტოპიების სფეროს უფრო განეკუთვნებოდა, ვიდრე – რეალურად შესრულებად გეგმებს, მაგრამ, ამ პროექტების ეროვნული სულისკვეთება, ათეული წლების განმავლობაში, ცალკეული ხალხების ცნობიერებაში ილექებოდა და საფუძვლად ედებოდა თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მწერლობის ხარისხი, ცალკეულ შემთხვევებში, ნამდვილად მაღალი იყო, მსოფლიო ლიტერტურული სტანდარტების თანაფარდიც კი, თუმცაღა, უმეტეს შემთხვევებში, ის პოლიტიკური აგიტაციის სახეს ატარებდა და ხასრისხობრივად ჩამორჩებოდა *მაღალი ლიტერატურის* მოთხოვნებს. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, **დისიდენტური შინაარსის მქონე ლიტერატურული პროდუქცია, განურჩევლად მისი ხარისხისა, იდევნებოდა და ექვემდებარებოდა მკაცრ ცენზურას; იგი მოკლებული იყო ბეჭდვისა და გავრცელების საჯარო უფლებას.**

ცენზურის ისტორია, ცხადია, ანტიკური ეპოქიდან იღებს სათავეს და კაცობრიობის განვითარების მთელ ისტორიას გასდევს, თუმცაღა, ნებისმიერ ეპოქაში, ცენზურის უმთავრესი სამიზნე ლიტერატურა იყო, როგორც სიტყვისა და დარწმუნების ხელოვნება. გამონაკლისს ამ შემთხვევაში არც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი წარმოადგენდა, რომლის ხელოვნურად შექმნილი საცენზურო პოლიტიკის ფუძემდებლადაც ლევ ტროცკი მიიჩნევა. მან 1920-იანი წლების დასაწყისშივე შეიმუშავა რიგი შეზღუდვების პაკეტი და წარმატებითაც აამოქმედა, უპირველ ყოვლისა, პრესისა და ლიტერატურის, ხოლო მოგვიანებით – კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროების მიმართულებით[1]. ცენზურა საბჭოთა ტოტალიტარიზმის განუყრელ მეგზურად გადაიქცა. მარიან დოვიჩი შენიშნავს:

> „მმართველები და სხვა სხვა გავლენიანი ინტერესების მქონე ჯგუფები ყოველთვის ცდილობდნენ გაეკონტროლებინათ იდეების გავრცელება საზოგადოებაში და შეეზღუდათ იმ ძალების გავლენები, ვისაც მათი ინტერესებისათვის პოტენციურად ზიანის მოტანა შეეძლო. სამისოდ, საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა მექანიზმები იქნა შემუშავებული – ანტიკური და შუასაუკუნეების პერიოდის მითითებებიდან ვიდრე მონარქიულ და ტოტალიტარულ ცენზურებამდე – რასაც ვუწოდებთ კიდეც *ცენზურას*“ (Dovic, 2008, p. 167),

მაგრამ, ცენზურამ, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში განსხვავებული მიდგომები და სტრატეგიები მოსინჯა, განსაკუთრებულად საშიში სახე მე-20 საუკუნის ტოტალიტარული მმართველობების პირობებში შეიძინა, როგორიც იყო კომუნიზმი და ფაშიზმი (იქვე). პიტერ ჰაჯდუს მართებული შენიშვნით, *„ჰაფსბურგების მონარქიაში მოქმედი ცენზურაც კი ბავშვური თამაში იყო კომუნისტური რეჟიმის დროს გაბატონებულ ცენზურასთან შედარებით“* (Dovic, 2008, p. 170). 1920-30-იანი წლების იდეოლოგიურმა ცენზურამ არა მარტო ფიზიკურად შეიწირა ადამიანები და ტალანტები, არამედ – შეიწირა მათი შემოქმედებითი პოტენციალი. „სხვაგვარად განწყობილი“ მწერლები მარტივად ცხადდებოდნენ „საბჭოთა ქვეყნის მტრებად“, ხოლო მათი ხარისხიანი, ხშირად გე-

[1] ლევ ტროცკი, ბოლშევიკური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, იმთავითვე სათავეში ჩაუდგა ცენზურის პოლიტიკის შემუშავებას და, მისი ხელდასხმით, 1917 წლიდან უმკაცრესი კონტროლი დაწესდა პრესასა და ბეჭდურ ორგანოებზე, როგორც „კლასობრივი ბრძოლის“ მთავარ ინტრუმენტზე. ტროცკი, რომელიც იმხანად სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის პოზიციას იკავებდა, სასტიკად გაუსწორდა ოპოზიციურად განწყობილ ჟურნალ-გაზეთებს, რითაც ალაგმა „განსხვავებული აზრის“ შემოდინება წითელ არმიაში.

ნიალური შემოქმედება – ანტისახელმწიფოებრივ მოღვაწეობად, რასაც ყოველთვის ერთი დასასრული ჰქონდა: დასჯა. და ამ მიზეზით დასჯილ პროგრესულ, მოდერნისტული და ავანგარდული ფრთის წარმომადგენელ ქართველ მწერალთა საკმაოდ ვრცელი ჩამონათვალი შეიძლება გაკეთდეს. მონური საზოგადოების „იდეალური ტიპის“ წინააღმდეგ ამბოხებული არაერთი ქართველი შემოქმედი შეგნებულად შეგებებია დახვრეტას (მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი), დაპატიმრებას (ნიკო სამადაშვილი), ემიგრაციას (გრიგოლ რობაქიძე), ანაც – თვითმკვლელობას (პაოლო იაშვილი). პრობლემის „გადაჭრის“ ყველა ეს ფორმა შინაარსობრივად იდენტური იყო, განსხვავებას მხოლოდ განხორციელების სტრატეგია ქმნიდა“ (რატიანი, 2018, გვ. 159-160). **1960-70-იან წლებიდან, როდესაც „სხვაგვარად განწყობილი და მოაზროვნე“ ადამიანების სიკვდილით დასჯა კაცობრიობის უმეტეს ნაწილში ბარბაროსობისა და ვანდალიზმის მეტაფორად იქცა, საბჭოთა ცენზურამაც იცვალა სახე და *მკვლელიდან გარყვნილში* ტრანსფორმირდა.** სწორედ ამ ***გარყვნილი ცენზურის*** მსხვერპლად იქცნენ 1960-70-იანი წლების დისიდენტი ავტორები. მარიან დოვიჩი მიუთითებს: *„ტოტალიტარული ცენზურის გარყვნილების გასაღები მისი იმპლიციტური ბუნებაა, როგორც დისკურსულ, ისე – სოციალურ-ისტორიულ დონეზე. სწორედ ამ უკანასკნელთან მიმართებით, ცენზურის იმპლიციტურობა ისეთ ფორმებში ვლინდება, როგორიცაა: პირადი ზარები გამომცემლებთან, „მეგობრული“ რჩევები, რომელთაც არა აქვთ ტექსტის ფორმა და შემოწმებად კვალსაც არ ტოვებენ“* (Dovic, 2008, p. 169). საგულისხმოა, რომ მითითებულ პერიოდში ცენზურა მინიმუმ ორ ფაზას გადის: წინასწარს და პუბლიკაციისშემდგომს. წინასწარ ანუ პრელიმინალურ ფაზას ალეს გაბრიჩი აფასებს როგორც „კამუფლიაჟურს“, როდესაც გამომცემლობებში, „ბეჭდვის პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით“, ქმნიდნენ საკონსულტაციო საბჭოებს ანაც ნიშნავდნენ „კონსულტანტებს“, რომელთაც გამომცემლობის პოლიტიკა უნდა შეეთანხმებინათ „შესაბამის პარტიულ წრეებთან“. „ჩანერგილ“ თანამშრომელთა ფუნქციაში დისიდენტ ავტორებთან „დამეგობრებაც“ შედიოდა. „წინასწარი ცენზურის კარგად შეფუთული და შენიღბული სისტემის გამართული მუშაობის შედეგად, პუბლიკაციისშემდგომი ცენზურა, პრაქტიკულად, საჭიროც კი აღარ იყო“ (Gabric, 2008, p. 231). თუმცაღა, რამდენიმე საფრთხე მაინც რჩებოდა, კერძოდ: ა) კლასიკოსების აკადემიური გამოცემები, სადაც, შესაძლოა, „გაპარულიყო“ ე.წ. უნივერსალური“ ტექსტები, მიმართული ნებისმიერი ტიპის დიქტატურის ანაც, საქართველოს შემთხვევაში, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ: ბ) საბავშვო ლიტერატურა, სადაც ყოველთვის რჩებოდა სივრცე „საშიში მეტაფორებისთვის“; გ) ცალკეული დისიდენტი ავტორების მიერ კარგად შეფუთული ალეგორიული ტექსტები. ამ და

სხვა საფრთხეების რეალიზების შემთხვევაში, მოქმედებას იწყებდა ცენზურის მეორე ფაზა – პუბლიკაციის შემდგომი: გამოცემულ წიგნებს ერთი ბედი ჰქონდათ – „სამუდამოდ“ შემოდება თაროებზე. ვუწოდოთ მათ „დავიწყების თაროები“. შექმნილი რთული ვითარებიდან „თავის დაღწევის“ ყველაზე გავრცელებულ ფორმებს ტექსტების ბეჭდვა-გავრცელების ალტერნატიული გზების ძიება წარმოადგენდა, მათ შორის, ხელნაწერის სახით გავრცელება, ანაც – თვითგამოცემა, ანუ ***ე.წ. Самиздат***-ი.

მიუხედავად იმისა, რომ იატკქვეშა გამოცემების ისტორია ჯერ კიდევ 1930-40-იან წლებში იღებს სათავეს[1], „**Самиздат**“-ის მეშვეობით ის პროკლამაციებიდან ტექსტებზე ინაცვლებს და განსხვავებულ ლიტერატურულ ხარისხს აღწევს. თუმცაღა, 1960-იანი წლებში ფორმირებული „**Самиздат**“-ი მოგებული რჩებოდა, უპირველეს ყოვლისა, არა ხარისხიანი ტექსტების ბეჭდვის მაჩვენებლით, არამედ – *თავისუფალი აზრის* გამოხატვის შესაძლებლობით: ტექსტები გათვლილი იყო მკითხველის მოლოდინზე, თანაც არა მასობრივი, არამედ – ელიტარული მკითხველისა, და „ოპოზიციურობაზე“ მეტად სწორედ „თავისუფალი აზრი“ მნიშვნელობდა. ალექსანდრ დანიელი მიუთითებს: „**Самиздат**“-ი (ამ სიტყვის ფართო გაგებით, ანუ, **„Тамиздат“**-ის – უცხოეთში დაბეჭდილი პროდუქციის ჩათვლით), – დისიდენტური აქტივობის მთავარი ინსტრუმენტი იყო“ (Даниэль, https://magazines.gorky.media/nz/2002/1/istoki-i-korni-dissidentskoj-aktivnosti-v-sssr.html). 1960-70-იან წლებში, როდესაც პროტესტის სხვა ფორმები – მიტინგები, საჯარო გამოსვლები და სხვ. – პრაქტიკულად შეუძლებელი იყო საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ვინაიდან *ფიზიკური გაქრობის* საფრთხეს ქმნიდა, იატაკქვეშა გამოცემები, შიმშილობასთან ერთად, პროტესტის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა (შიმშილობას ხშირად აცხადებდნენ უსამართლოდ დაკავებული ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში გამომწყვდეული დისიდენტები, თუმცა, სახელმწიფოს მხრიდან ამას განსაკუთრებული ყურადღება არ ექცეოდა და პროცესი თვითდინებაზე იყო მიშვებული).

სტაგნაციის ხანაში, საქართველოში, ღია მასობრივი პროტესტის პირველ გამოცდილებას, 1978 წლის 14 აპრილის აქცია წარმოადგენს, რაც არა მარტო ქართველი ხალხის ნებას გამოხატავდა, არამედ – საბჭოთა დისკურსის დასასრულსა და საბჭოთა იმპერიის საძირკვლის შერყევასაც მოასწავებდა: „თუკი შევუდგებით საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურული დის-

[1] იხ. *ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა. გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე. 1921-1941 წწ.* გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2016; *ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე. 1941-1956 წწ.* გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2019.

კურსის დეკონსტრუქციის დასაბამის ძიებას, რასაკვირველია, 1978 წლის 14 აპრილს მოვნიშნავთ, როდესაც ქართულმა საზოგადოებამ პროტესტის მანამდე არნახულ ფორმას მიმართა, რათა დაეცვა ქართული ენის ღირსება და ეროვნული მნიშვნელობა. ეს დღე მრავალი თვალსაზრისით იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ისტორიაში და, მათ შორის, ქართული ლიტერატურული დისკურსის ტრანსფორმაციის თვალსაზრისითაც“ (რატიანი, 2018, გვ. 200-201). 1980-იანი წლებიდან ვითარება საბჭოთა კავშირში რადიკალურად იცვლება, მათ შორის, დისიდენტური მოძრაობისთვისაც. ე.წ. „პერესტროიკისა“ და „გლასტნოსტ“-ის გამოცხადებას მალევე მოჰყვა „სხვაგვარად განწყობილი“ მწერლებისა და ხელოვანების „ამოსვლა“ იატაკქვეშეთის ლაბირინთებიდან[1]: დისიდენტურმა მოძრაობამ ქუჩებში და საერთო-სახალხო მიტინგებზე გადაინაცვლა, მხატვრებმა გამოფინეს თავიანთი ნამუშევრები, რეჟისორებმა შექმნეს თამამი სპექტაკლები, სტუდენტები კი აქტიურად ჩაერთნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ უკანასკნელის დასტურია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებული პრეს-კლუბი (დამფუძნებლები და პირველი წევრები: დათო ტურაშვილი, თედო ისაკაძე, ფიქრია ჩიხრაძე, ნიკო ნიკოლოზიშვილი, ქეთევან გვაზავა, ირმა რატიანი) და თბილისის უნივერსიტეტის გაზეთის ბაზაზე გამომავალი „სტუდენტური ფურცელი“, რომელმაც ათასობით ადამიანს მიაწვდინა ქართველი დისიდენტებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების ხმა[2].

1991 წლიდან, როდესაც ოფიციალურად გაფორმდა საბჭოთა იმპერიის დასასრული, მის შემადგენლობაში მყოფმა ქვეყნებმა იმპერიის ნანგრევებქვეშ გადაინაცვლეს, და დიდი ხნით ჩაიძირნენ სამოქალაქო ომებში, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისებში, კორუფციასა და ქაოსში. რთული და ეკლიანი აღმოჩნდა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზა.

---

[1] საბჭოთა კავშირში „პერესტროიკისა“ და „გლასტნოსტის“ პოლიტიკა 1980-იანი წლების მეორე ნახევარში გამოცხადდა, მიხეილ გორბაჩოვის ინიციატივით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა დაანონსა ე.წ. „აჩქარების“ პოლიტიკა. ტერმინი „პერესტროიკა“ პირველად 1985 წლის მაისში გამოიყენეს, ხოლო „გლასნოსტის“ პოლიტიკამ, როგორც ცენზურის ოფიციალურმა შემსუბუქებამ, 1987 წლის იანვრისთვის მიიღო შესაბამისი ფორმა.

[2] დასახელებული სტუდენტური მოძრაობა ვერ იქნებოდა ესოდენ პროდუქტიული, რომ არა მხარდაჭერა და ხელშეწყობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, პროფესორ ნოდარ ამაღლობელისა და პრორექტორის, პროფესორ ვახტანგ გოგუაძის მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

კრ. *ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა. გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე. 1921-1941 წწ.* თბილისი: მწიგნობარი. 2016.

კრ. *ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე. 1941-1956 წწ.* თბილისი: „მწიგნობარი“, 2019.

რატიანი, ი. (2018). „ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი“. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

წიფურია, ზ. (2016). *ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნულ კონტექსტში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Dovic, M. (2008). *Literature and Censorship, Truth and Fea*r. In: Literature and Censorship. Whp os Afraid of Truth in Literature? Primerjalna Knjizevnost, 31. Special Issue.

Gabric, A. (2008). *Sencorship in Slovenia after World War II: From the Communist Index Librorum Prohibitorum to Abolition of the "Verbal Offence"*. In: Literature and Censorship. Whp os Afraid of Truth in Literature? Primerjalna Knjizevnost, 31. Special Issue.

Reich, R. *State of Madness: Psychiatry, Literature, and Dissent After Stalin,* https://www.cam.ac.uk/stories/state-of-madness

Бомейко И. *Поэты-диссиденты и писатели-бунтари: диссидентская проза Солженицына.* https://pskovlib.ru/obzori/bibliografy-o-knigakh/12740-poety-dissidenty-i-pisateli-buntari-dissidentskaya-proza-solzhenitsyna

Даниэль, А. *Истоки и корни диссидентской активности в СССР.* https://magazines.gorky.media/nz/2002/1/istoki-i-korni-dissidentskoj-aktivnosti-v-sssr.html

Никитин, В. (2013). Инутренняя эмиграция в жизни и поэзии Теренти Гранели. კრ. ლიტერატურა დევნილობაში. ემიგრანტების მწერლობა (მე-20 საუკუნის გამოცდილება). VII საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. GCLA Press.

Яковлев, А. http://histrf.ru/ru/lenta-vremeni/event/view/xx-siezd-kpss-doklad-khrushchieva-o-kul-tie-lichnosti-stalina

References:

Bomeyko I. Poety-dissidenty i pisateli-buntari: dissidentskaya proza Solzhenitsyna. [Dissident Poets and Rebellian Writers: Solzhenitsyn's Dissident Prose]. https://pskovlib.ru/obzori/bibliografy-o-knigakh/12740-poety-dissidenty-i-pisateli-buntari-dissidentskaya-proza-solzhenitsyna

Daniel', A. Istoki i korni dissidentskoy aktivnosti v SSSR. [The Origins and Roots of Dissident Activity in the USSR]. https://magazines.gorky.media/nz/2002/1/istoki-i-korni-dissidentskoj-aktivnosti-v-sssr.html

Dovic, M. (2008). *Literature and Censorship, Truth and Fea*r. In: Literature and Censorship. Whp os Afraid of Truth in Literature? Primerjalna Knjizevnost, 31. Special Issue.

Gabric, A. (2008). *Sencorship in Slovenia after World War II: From the Communist Index Librorum Prohibitorum to Abolition of the "Verbal Offence"*. In: Literature and Censorship. Whp os Afraid of Truth in Literature? Primerjalna Knjizevnost, 31. Special Issue.

K'r. Bolshevizmi da kartuli lit'erat'ura. Gasabch'oebidan meore msoplio omamde. 1921-1941 ts'ts'. [Kr. Bolshevism and Georgian Literature. From the Soviet Union to the Second World War. 1921-1941]. Tbilisi: mts'ignobari. 2016.

K'r. Bolshevizmi da kartuli lit'erat'ura. Meore msoplio omis dats'q'ebidan sk'k'p' me-20 q'rilobamde. 1941-1956 ts'ts'. [Kr. Bolshevism and Georgian Literature. From the Beginning of the Second World War to the 20th Congress of the CPSU. 1941-1956]. Tbilisi: „mts'ignobari", 2019.

Nikitin, V. (2013). Inutrennyaya emigratsiya v zhizni i poezii Terenti Graneli. K'r. lit'erat'ura devnilobashi. Emigrant'ebis mts'erloba (me-20 sauk'unis gamotsdileba). VII saertashoriso simp'oziumis masalebi. [Internal Emigration in the Life and Poetry of Terenti Graneli. Kr. Literature in Exile. Emigrants Fiction (20th Century Experience) of Immigrants (Experience of the 20th Century). Proceedings of the VII International Symposium]. Tbilisi: GCLA Press.

Rat'iani, I. (2018). „Kartuli mts'erloba da msoplio lit'erat'uruli p'rotsesi". ["Georgian Literature and the World Literary Process"]. Tbilisi: tbilisis universit'et'is gamomtsemloba.

Reich, R. *State of Madness: Psychiatry, Literature, and Dissent After Stalin,* https://www.cam.ac.uk/stories/state-of-madness

Ts'ipuria, B. (2016). Kartuli t'ekst'i sabch'ota/p'ost'sabch'ota/p'ost'modernul k'on-t'ekst'shi. [Georgian Text in the Soviet/Post-Soviet/Postmodern Context]. Tbilisi: Ilias sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba.

Yakovlev, A. http://histrf.ru/ru/lenta-vremeni/event/view/xx-siezd-kpss-doklad-khrushchieva-o-kul-tie-lichnosti-stalina